



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვარდენ ნიქაბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრები:

თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ლელა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

მარიამ მატიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

შაქრო ჟღენტი(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

თამარ ძველაია (ესთეტიკური მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239402589

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერე
ფაქტობრივი მისამართი	საჩხერე, სოფელი სხვიტორი
საფოსტო ინდექსი	4000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1072
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Skhvitori@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 24 0000607108, 31/05/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 27 - 28 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	საჩხერე, სოფელი სხვიტორი , 1 ერთი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	საჩხერე, სოფელი სხვიტორი, 1 ერთი შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	საჩხერე, სოფელი სხვიტორი, 1 ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე “თიმისი“ სივრცეში ჯგუფისთვის შეიქმნა ვირტუალური კლასი, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებული იქნა, როგორც სკოლის თვითშეფასების განაცხადი ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა

თანამშრომლობის მაღალი კულტურა. გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა დაიგეგმა პირველ სამუშაო დღეს. პირველ დღეს გაიმართა შეხვედრა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილული იქნა კურიკულუმის შემუშავებისა სხვა ზოგადი საკითხები, ასევე ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებაში.

დაწყებითი საფეხური ექსპერტმა 2024 წლის 27-28 ივნისს მონაწილეობა მიიღო სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლაში დაგეგმილ წარმოებაში. გაეცნო სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალებს. 27 ივნისს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს მონაწილეობა მიიღო ინტერვიუში, სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან. ინტერვიუს დროს დააზუსტა საკითხები, რომლის შესახებაც სიღრმისეული ინფორმაცია სჭირდებოდა. პედაგოგებს მისცა რეკომენდაციები. ინტერვიუს შემდეგ გაეცნო დაწყებითი საფეხურის თითოეული საგნის: მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ქართული, მე და საზოგადოება საგნობრივი ექსპერტის მიერ შევსებულ საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმას. გააკეთა თითოეული საგნის შეფასების ფორმის რევიზია.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის გამორჩეული პრაქტიკაა სკოლის კოლექტივის აქტიური ჩართულობა არაფორმალური განათლების პროცესებში, პროექტული სწავლების მიმართულებით; სკოლას გაფორმებული აქვს საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისი მემორანდუმები საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, რომლებთანაც უშუალოდ ვიზიტის



პერიოდში შედგა ურთიერთობა, კარგად იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას, სკოლის კულტურას და სასკოლო საზოგადოებასა თუ თემში არსებულ ინტერესებს. დაწესებულებაში არსებული თანამშრომლობითი გარემო განაპირობებს პედაგოგთა გუნდურ მუშაობასა და ახალგაზრდა კადრების სკოლაში დასაქმებით დაინტერესებას, თვალშისაცემია ფუნქცია-მოვალეობათა ეფექტიანი გადანაწილება, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს სოფელ სხვიტორში არსებულ აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმთან, აწყობს ერთობლივ შეხვედრებს, საღამოებს, პროექტებს; სკოლა მუზეუმის ფაქტორს აქტიურად იყენებს როგორც საგანმანათლებლო რესურსს;

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----250-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
 დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
 საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი		
ინდიკატორი		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		



V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 1.2.1.2	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ სამოქმედო გეგმაში კონკრეტულად განსაზღვროს თუ რა ფინანსური ან/და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის ამ თუ იმ პუნქტის განხორციელებას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1	1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების	სკოლამ 01.04.2026-მდე მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
--	---	--



3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლამ 26.07.2025-მდე უზრუნველყოს ვიდეო სათვალთვალო კამერების დამონტაჟება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.2		
ინდიკატორი 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა	სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების უფლებამოსილება განუსაზღვროს სკოლის სამეურვეო საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #785 ბრძანების მე-6 მუხლის პირობების შესაბამისად.



	და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
<i>ინდიკატორი N...</i>		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
<i>ინდიკატორი N.4.2.2.1</i>	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	- პროფორიენტაციის საკითხები ასახონ სასკოლო სასწავლო გეგმაში: სადამრიგებლო პროგრამებსა და საგნობრივ კურიკულუმებში; - კარიერული წინსვლის ღონისძიებებს, მისცენ სისტემატური , გეგმიური ხასიათი.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
<i>ინდიკატორი N....</i>	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	<i>ესთეტიკური მეცნიერებები</i> სასურველია, კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი კათედრის ორივე საგნისათვის იყოს ერთნაირი.



ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	• სასურველია, შეფასების რუბრიკები და აქტივობები ჩანდეს კურიკულუმებში, ვინაიდან პროექტის მსვლელობის თითოეული ნაბიჯი დაგეგმილი იყოს. • სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში. • სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მეტად იყოს მორგებული მოსწავლის საჭიროებებს;
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	• სასურველია, შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება. • სასურველია, განსახორციელებელი პროექტებისათვის თემების არჩევა მოხდეს მოსწავლეთა მიერ.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	• სასურველია, პროექტის განსახორციელებლად, მცირე კვლევების საწარმოებლად, საველე მუშაობის დანერგვა; ინტერვიუს პროცესის წარმართვის სწავლება; კვლევის მნიშვნელობის გააზრება და საბოლოო პროდუქტის წარმოჩენა პრეზენტაციის, მოხსენების თუ სტატიის სახით. • სასურველია, არაფორმალური აქტივობები მიზნობრივად დაიგეგმოს, პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნულ საწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხოური ენები
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს, სასურველია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პროექტული ტიპის დავალებებს და საგანთშორის კავშირებს. საგანთა ინტეგრირება მოსწავლეებს დაეხმარება საგნობრივი ცოდნის და გამჭოლი უნარების ტრანსფერში.
ინდიკატორი 2.1.2.2.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, შეფასების რუბრიკების შემუშავების დროს სკოლამ გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები და მათთან შესაბამისობაში შეიმუშავოს რუბრიკები. მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებული რუბრიკები განსაზღვრული იყოს კონკრეტულ დავალებასთან/აქტივობასთან მიმართებით.
ინდიკატორი 2.1.2.5	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა
ინდიკატორი 2.1.2.5	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სწავლა-სწავლების პროცესების ეფექტურად წარსამართავად სასურველი იქნება უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომაზე, რომელიც კომპლექსური დავალების მიწოდებაში შეიძლება გამოჩნდეს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	

ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	• შეფასების სისტემა ინდა იძლეოდეს საშუალებას სასწავლო პროცესი გახდეს გაზომვადი, ამიტომ ის მოითხოვს თითოეულ ინდიკატორში უფრო სიცხადეს.
ინდიკატორი 2.1.2.5		საზოგადოებრივი მეცნიერებები • საგან ისტორიისა და საქართველოს ისტორიის X-XI კლასის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტებში, სასურველი იქნებოდა რესურსების გამრავალფეროვნება, რადგან უმეტესწილად მითითებულია სახელმძღვანელო, ზოგიერთ შემთხვევაში არაა დაკონკრეტებული რომელ სახელმძღვანელოზე და რა ტიპის ტექსტზეა საუბარი • სკოლის მცირეკონტიგენტიანი სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, ზოგადი განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნაცვლად, კონკრეტულ საკითხზე შექმნილი დოკუმენტების წარმოდგენა.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სპორტი



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	• კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სვეტები (ძირითადი კონტექსტური მაგალითი;) არის ცარიელი, არსებულ საკითხთან დაკავშირებული მოცემული არის ელექტრონული სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებზე მუშაობისათვის, თუმცა სასურველია ცარიელი სვეტები შევსება. • სკოლას აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა რომელიც საჭიროებს დახვეწას. სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გაწერილი იყოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ სამიზნე ცნებებსა, ქვეცნებებსა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით
ინდიკატორი 2.1.2.1	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	<i>უცხოური ენები</i> • საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს, სასურველია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პროექტული ტიპის დავალებებს და საგანთაშორის კავშირებს. საგანთა ინტეგრირება მოსწავლეებს დაეხმარება საგნობრივი ცოდნის და გამჭოლი უნარების ტრანსფერში.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია საგნობრივ კურიკულუმში დაემატოს აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს სწავლების სხვა და სხვა სტრატეგიებს შესთავაზებს. საბაზო საფეხურზე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სწავლის სწავლას, რომელიც მოსწავლეს მომავალში მისცემს შესაძლებლობას სწორად გამოიყენოს საკუთარი უნარები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, მომდევნო სასწავლო წელს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების შემდეგ, სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები რომლებიც თანხვედრაში იქნება კურიკულუმით განსაზღვრულ აქტივობებთან. ასევე, სასურველია, წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზში შემოთავაზებული შეფასების რუბრიკაში წარმოდგენილი იყოს წერით დავალებისათვის განსაზღვრული შეფასების რუბრიკა. მათემატიკა
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მე-9 კლასში, სვეტი კომპლექსური დავალების პირობა და მაგალითი შედარებისათვის არის გასასწორებელი.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სწავლა-სწავლების პროცესების ეფექტურად წარსამართავად სასურველი იქნება უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომაზე, რომელიც კომპლექსური დავალების მიწოდებაში შეიძლება გამოჩნდეს;



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები საგან გეოგრაფიის მე-9 კლასის ფარგლებში წარმოდგენილი კურიკულუმის ნიმუშში, სასურველია გაიწეროს - ძირითადი კონტექსტ-მაგალითის, კომპლექსური დავალების იდეისა და მაგალითები შედარებისათვის აღნიშნული გრაფები ისევე, როგორც წინა კლასის დოკუმენტებშია გაწერილი.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საგან მოქალაქეობის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტებში, სასურველი იქნებოდა რესურსების გამრავალფეროვნება. რადგან უმეტესწილად მითითებულია სახელმძღვანელო, თუმცა არაა დაკონკრეტებული რომელი სახელმძღვანელოზე და რა ტიპის ტექსტზეა საუბარი;
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სკოლის მცირეკონტიგენტიანი სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, ზოგადი შეფასების რუბრიკის ნაცვლად, კონკრეტულ საკითხზე შექმნილი დოკუმენტების წარმოდგენა.



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური მეცნიერებები • სასურველია, კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი კათედრის ორივე საგნისათვის იყოს ერთნაირი.
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	• სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში. • სასურველია, კურიკულუმში ცვლილებების შეტანის ასახვა რომელიმე დოკუმენტში. იქნება ეს თავად კურიკულუმი, თუ კათედრის ოქმი.
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	• სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მეტად იყოს მორგებული მოსწავლის საჭიროებებს. • სასურველია, შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთეს ცნება/ქვეცნებათა დამუშავება.



ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	- სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით. - გადაიხედოს კომპლექსური დავალებების რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოდგენილ დოკუმენტებში სკოლას აქვს შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), თუმცა ყველა რუბრიკა არ აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შეფასების ინსტრუმენტებს, შესაბამისად მიეცათ რჩევა, რომ 2024-25 სასწავლოს წლის დასაწყისში მოახდინონ კორექტირება და იქ, სადაც ამის საჭიროებაა, შექმნან ახალი შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი (შეიმუშაონ ექსპერიმენტის, ცდის და კვლევის შეფასების ნიმუშები.) თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების ფორმები.
ინდიკატორი 2.1.2.1	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სპორტი კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სვეტები (ძირითადი კონტექსტ მაგალითი;) არის ცარიელი, არსებულ საკითხთან დაკავშირები მოცემული არის ელექტრონული სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის თუმცა სასურველია ცარიელი სვეტები შევსება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	



ინდიკატორი 2.1.2.3 ინდიკატორი 2.1.2.5 ინდიკატორი 2.1.2.1	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	- სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილი, რომელიც საჭიროებს დახვეწას. სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გაწერილი იყოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ სამიზნე ცნებებსა; ქვეცნებებსა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით მათემატიკა - კურიკულუმში კარგი იქნება თუ გაწერილი იქნება ის სასწავლო რესურსი, რომელიც მოემსახურება მოსწავლეთა დიფერენცირებულ შესაძლებლობების გათვალისწინებას. - შეფასების რუბრიკები უნდა იყოს გაზომვადი, რათა იძლეოდეს იმის შესაძლებლობა, რომ შემფასებელი არ დარჩეს გაურკვევლობაში და რუბრიკამ არ დაკარგოს სანდოობა საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგან “მე და საზოგადოება“-ის ფარგლებში წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში, სასურველია უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კონტექსტ-მაგალითები შესაბამის გრაფაში.
--	--	---



<i>ინდიკატორი 2.1.2.2</i>	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საგანი “მე და საზოგადოება“-ს მე-3 კლასის კურიკულუმის ნიმუშში სასურველი იქნებოდა საგანმანათლებლო პროექტებით მოაზრებული შემოქმედებითი პროდუქტების უფრო მეტად გამრავალფეროვნება (რამდენიმეჯერაა წარმოდგენილი ბუკლეტის იდეა). ასევე საგან “ჩვენი საქართველო“-ს 6 კლასის დოკუმენტში, შემოქმედებით პროდუქტად განსაზღვრული “ხალხური ლექსი“ ნაკლებად რელევანტურია.
<i>ინდიკატორი 2.1.2.3</i>	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საგან “მე და საზოგადოება“-ს ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებში, რესურსების გრაფაში წარმოდგენილია უმეტესად სახელმძღვანელოს შესაბამისი პარაგრაფები. სასურველი იქნებოდა რესურსების მეტად გამრავალფეროვნება.
<i>ინდიკატორი 2.1.2.1</i>	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური მეცნიერებები სასურველია, კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი კათედრის ორივე საგნისათვის იყოს ერთნაირი.

ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	• სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში. • სასურველია, კურიკულუმში ცვლილებების შეტანის ასახვა რომელიმე დოკუმენტში. იქნება ეს თავად კურიკულუმი, თუ კათედრის ოქმი. • სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მეტად იყოს მორგებული მოსწავლის საჭიროებებს.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	• სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	• სასურველია, შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება.
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სპორტი • კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სვეტები (ძირითადი კონტექსტ-მაგალითი) არის ცარიელი, არსებულ საკითხთან დაკავშირებით მოცემული არის ელექტრონული სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის თუმცა სასურველია ცარიელი სვეტების შევსება.



ინდიკატორი 2.12.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	• სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა რომელიც საჭიროებს დახვეწას. სასურველია განმავითარებელი შეფასება გაწერილი იყოს ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ სამიზნე ცნებებსა; სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებსა; მოსალოდნელ შედეგსა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით.
-------------------	--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაში ეროვნული სასწავლო ხაზგასმულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო იდეალების ერთგულება, ფიზიკურად ჯანსაღი ზნეობრივი ადამიანური ღირებულებების მქონე მომავალი თაობის აღზრდა, რაც სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიაში ერთის მხრივ, აღნიშნავს რომ მისი მისია დიდი აკაკის აკაკი წერეთლის შემოქმედების გაცნობა და პოპულარიზაციაა და მეორეს მხრივ ხედვაში წარმოაჩენს სასურველ მომავალს „ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრირებით, 2030 წლისთვის, ჩვენი სკოლა აღიარებული იქნება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში, როგორც 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების აღმზრდელი დაწესებულება“, რაც გამორჩეულად წარმოაჩენს სკოლის როლს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობენ როგორც სკოლის პედაგოგები, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები მშობლები, მოსწავლეები. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში მონაწილე პირები განისაზღვრა სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულმა ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა დოკუმენტის პროექტი. შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენისთვის გაუზიარა და გააცნო დაინტერესებულ ჯგუფებს, მათ შორის პედაგოგიურ საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ასევე გასაუბრებით აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, განსაკუთრებით ის ნაწილი, სადაც სკოლის მისია დიდ მგოსანთან-აკაკი წერეთელთან კავშირს მოიაზრებს. განაცხადში სკოლა აღნიშნავს, რომ დოკუმენტი განიხილა პედაგოგიურ საბჭოზე, მოსწავლეებთან და მშობლებთან დამრიგებლების ჩართულობით, დოკუმენტის პროექტი განთავსებული იყო სკოლის ფოიეში, იგივე დაადასტურდა ინტერვიუს პროცესში და წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები ფართო ფორმატის ფურცელზე ამობეჭდილი და გაკრული იყო სკოლის ფოიეში. ასევე სკოლამ სამინისტროს მხარდაჭერით შექმნა ვებგვერდი სადაც ატვირთულია სკოლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის მისა ხედვა და ღირებულებები ([იხ. სკოლის გვერდი](#)).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებული ტერმინთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანებასთან. სკოლასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში, მათ შორის ამონაწერში საჯარო რეესტრიდან სკოლა მოიხსენება, როგორც: სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლა“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სკოლის გვერდი ;

- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოები წევრებთან.
- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის და მათი პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, დეტალურად გაწერილი. ის მოიცავს მისიასთან თავსებად მიმართულებებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ სკოლა ძალიან ბევრ ნაბიჯს დგამს არაფორმალური განათლების გაძლიერების კუთხით, ასევე აკაკი წერეთლის მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. ეს საკითხები ასახულია ასახული სტრატეგიულ განვითარების გეგმაში, კერძოდ სკოლის განვითარების გეგმაში მე-2 სტრატეგიული მიმართულებაა: „სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობით“ ამავე მიმართულების ერთ-ერთი მიზანი სწორედ აკაკი წერეთლის მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციაა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის სრული, დეტალურად გაწერილი და სრულ შთაბეჭდილებას ქმნის პროცესების და საქმიანობის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნული გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრული მიზნებიდან (სამწუხაროდ სკოლის სტრატეგიული გეგმა მთლიანად ვერ ასახავს სკოლის მისიითა ხედვით გაცხადებულ მიზნებს).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია გეგმის შესრულების გაზომავდი მექანიზმები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები, რაც შეეხება რესურსებს, შესაბამისობის გეგმის

წარმოდგენის შემდეგ, წლიურ სამოქმედო გეგმაში დამატებული აქვთ სვეტი „რესურსი“, სვეტის გასწვრივ მითითებულია მხოლოდ ზოგადად ადამიანური ან ფინანსური. სამწუხაროდ სკოლას გეგმაში არ აქვს განსაზღვრული თუ რა ფინანსური თუ მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს კონკრეტული პუნქტის განხორციელებას. მაგალითად გეგმაში გვაქვს პუნქტი : „სკოლის კეთილმოწყობა“ კონკრეტულად ამ პუნქტისთვის რა თანხა /ან რესურსებია გამოყოფილი სკოლის ბიუჯეტიდან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია: სკოლამ სამოქმედო გეგმაში კონკრეტულად განსაზღვროს თუ რა ფინანსური ან/და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის ამ თუ იმ პუნქტის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ზეპირი ინტერვიუ
- 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მე-6 მუხლი მთლიანად ეთმობა მონიტორინგის საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.....

...

3.....

...

4.....

...

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის მიერ გამოცემული 1/კ21 ბრძანებით „სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა განსაზღვრის შესახებ“ აქვს მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა მკაფიო დოკუმენტი, სადაც მოცემულია თითოეული მათგანის მოქმედების სფეროს აღწერილობა და კომპეტენციები. სკოლაში შექმნილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ყველა მათგანი მოქმედებს დამოუკიდებლად, მაგრამ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და საბოლოო ჯამში ქმნიან საერთო სასკოლო კულტურას. სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 448-ე დამტკიცებული, საჯარო სკოლის წესდებით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეული, მასვე ემატება უფრო მოგვიანებით შექმნილი კოლეგიური ორგანო-მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ანგარიშვალდებულების სასკოლო სისტემა. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას, კოორდინაციას უწევს კათედრების მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის ოქმი და მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ანგარიში;*

- კათედრის თავმჯდომარის მუშაობის ანგარიში;
- სკოლის სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ ბრძანება;
- ზეპირი ინტერვიუ

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. გამოცემულია შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სსიპ საჩხერის “მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლას აქვს “ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი“, რომელშიც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგიები; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში.

ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება: ადამიანური რესურსების მართვა; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა; პროფესიული განვითარება; დასკვნითი დებულებები. დოკუმენტის

მიხედვით დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია შეფასების როლი, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული და არა კონტროლზე; სკოლის პერსონალს შორის პასუხისმგებლობის დელეგირება და ანგარიშვალდებულება; შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის წახალისება; ავტონომიისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა; სანდო პრევენციული სისტემის არსებობა და მხარდაჭერა. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა; დასვენების ხანგრძლივობა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი და ა.შ. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. . ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში tpdc.ge ზე ან hr.ge ზე კანონის შესაბამისად ცხადდება ვაკანსია, იქმნება კომისია და კანონმდებლობის წესის შესაბამისად საკონკურსო ეტაპების გავლის შემდგომ (დოკუმენტაციის გადარჩევა, გასაუბრება) ხდება მოთხოვნათა შესაბამისად კვალიფიციური კადრის შერჩევა. სკოლა ცალკე ბრძანებით აქვს განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უკანასკნელ პერიოდში სკოლას ჰყავს კონკურსით შერჩეული მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ექიმი. ყველა მათგანის შერჩევის პროცესი ნაწარმოებია გამართულად. შერჩეულია საჭიროებაზე მორგებული პიროვნებები შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. ყველა ახალ თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს შსს-ს მიერ გაცემული ყველა საჭირო დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის პერსონალიდან მასწავლებლების კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია, ყველა მათგანი არის შესაბამის სტატუსის მქონე. პერსონალის პირადი საქმეები მოსაწესრიგებელია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება იმ ზოგადსაგვალდებულო სახის წესებით, რომელიც შემუშავებული და მიღებულია ამავე პერსონალის წარმომადგენლებისაგან, კერძოდ, შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მაგრამ დამტკიცებამდე ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, წარმადგინოს ცვლილებათა პაკეტი ან ნორმის მისეული ინტერპრეტაცია. იგივე შეიძლება ითქვას პედაგოგიურ საბჭოსთან დაკავშირებით,

სადაც სკოლა ამტკიცებს თავის სასკოლო გეგმას. აქაც, სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა საბჭოს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და განხორციელებული პროექტები, რომლებიც მრავლადაა გამოფენილი სკოლის შენობაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის პერსონალი არა თუ მონაწილეობას იღებს სასკოლო პროცესების მართვაში, არამედ გუნდურად არის პასუხისმგებელი ამ პროცესების სწორად წარმართვისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში ვიზიტისას ადგილზე ზეპირი ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლას ჰყავს სხვადასხვა საგნის წამყვანი მასწავლებლები, რომლებიც სიახლეებს ჯერ საკუთარ კლასებთან გამოცდიან, შემდეგ უზიარებენ გამოცდილებას სხვებს. მასწავლებლები ქმნიან სასწავლო ჯგუფებს და მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, მასწავლებელს ეძლევა სიტყვიერი რეკომენდაციები, სკოლაში დამკვიდრებულია „კრიტიკული მეგობრის“ კულტურა ხედვათა გაზიარებისთვის. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- კათედრებს შორის სამუშაო შეხვედრის მასალები
- კონკურსის ჩატარების ბრძანება და დოკუმენტაცია
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ის აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით. მის მოვალეობაში შედის სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის განვითარების ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ამ რეკომენდაციების საფუძველზე მასწავლებლები ეცნობიან თანამედროვე ლიტერატურას ,

გეგმავენ მომდევნო გაკვეთილებს და ხვეწენ საკუთარ პრაქტიკას. მასწავლებლები წლის დასაწყისში ავსებენ თვითშეფასების კითხვარებს, რომელიც დაფუძნებულია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და ეხმარება საჭიროებების სწორად განსაზღვრაში. გამოკვეთილ საკითხებზე დაყრდნობით მასწავლებლები გეგმავენ პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას. სკოლას არ აქვს მასწავლებლის გარდა სხვა პერსონალის შეფასების სისტემა.

რჩევა: სკოლამ შეიმუშავოს პერსონალის შეფასების კრიტერიუმები და უზრუნველყოს საქმიანობის პერიოდული შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.....

...

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, დროულად აწვდის ინფორმაციას სიახლეების და ცვლილებების შესახებ მასწავლებლები რეგისტრირდებიან და ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებზე. სკოლას ჰყავს 7 წამყვანი და 15 უფროსი მასწავლებელი, რაც ურთიერთთანამშრომლობითა და მხარდაჭერით იქნა მიღწეული.

პედაგოგები პერმანენტულად ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ძირითადად მიმართულია სწავლა-სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის აქტიურად იყენებს საერთო სასკოლო პროექტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ხორციელდება დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. სკოლის დირექტორი ახალ კადრს აცნობს სკოლის ისტორიას, წესებს, ტრადიციებს და ამის შემდეგ წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას და პედაგოგიურ კოლექტივს. სოციალიზაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობისათვის კათედრა ხვდება მას, აცნობს სახელმძღვანელოებს, დამატებით რესურსებს, კურიკულუმს, შეფასების ინსტრუმენტებს, შინაგანაწესს, ათვალერებინებს სკოლას. დირექცია ხელს უწყობს ახალი კადრის სკოლის სრულფასოვან გუნდის წევრად ჩამოყალიბებას. სკოლა დეტალურად ეცნობა მის პირად საქმეს და ცდილობს ისეთი საქმის განხორციელება დაავალოს პირველ ეტაპზე რაც გაუადვილებს მუშაობას და შეგუებას ახალ გარემოსთან. სკოლის მიერ მიღებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის მე-18 მუხლი მთლიანად ეთმობა ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში რეგულარულად იმართება მასწავლებლებს შორის გარკვეულ საკითხებზე დისკუსიები როგორც ოფიციალურ (მაგ: კათედრებს შორის: საერთო საქმიანობის დაგეგმვისას, ჯგუფური შეხვედრების თუ სასწავლო ჯგუფების მუშაობის დროს და ა.შ.) ისე არაოფიციალურ (მაგ: შესვენების დროს; საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებების მომზადებისას და ა.შ) გარემოში. მასწავლებელი ხშირად საუბრობენ ერთმანეთში სწავლასთან დაკავშირებული მოლოდინების, სწავლების მეთოდების, მოსწავლეთა ნამუშევრების ხარისხის, შეფასებისა და სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ. დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია კათედრებთან ერთად ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას რომლებიც ეხმარება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას-- წარმატებული საგანმანათლებლო პრაქტიკის შესახებ ლიტერატურის გაზიარებით, პროფესიული განვითარებისათვის რეგულარული შეხვედრებისათვის დროის გამოყოფით და ა.შ. სწორედ ამ პროცესების შედეგია სკოლაში მასწავლებლის მიერ ინიცირებული და განხორციელებული სასკოლო და საკლასო პროექტები, საკლასო და სასკოლო კვლევები, სასკოლო თუ სარაიონო კონფერენციები, ინტელექტუალური თამაშები და ვიქტორინები, ინტეგრირებული და სამოძებო გაკვეთილები. სკოლას ტრადიციად აქვს დვაწლმოსილი პედაგოგების მოწვევა ღონისძიებაზე-30 „მადლიერების დღე,“ სადაც აქტიურად ჩართულნი არიან არა მხოლოდ სასკოლო საზოგადოების წევრები, ასევე თემის წარმომადგენლები (ადგილობრივი წითელი ჯვრის ორგანიზაცია; მუზეუმების თანამშრომლები) .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი და პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა; დანართი N

2

- მასწავლებელზე გაცემული უკუკავშირის ფორმები;
- კათედრაზე თითოეული მასწავლებლის სამუშაო ანგარიში;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო და საკლასო კვლევების მასალები;
- სასკოლო და საკლასო პროექტების მასალები;
- მადლიერების დღის რეფლექსია;
- ინტეგრირებული და სამოძებო გაკვეთილების მასალები;
- ინტელექტუალური თამაშების და ვიქტორინების მასალები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების პროცედურები, რაც მტკიცდება 2024 წლის 29 თებერვლის 1/კ16 ბრძანებით. ბრძანება მოიაზრებს ხარისხის მართვის ციკლს დაგეგმე-განახორციელე-

შეამოწმე-განავითარე. P – D – C – A შესაბამისად სკოლაში ხორციელდება პედაგოგთა სამუშაო შეხვედრები და ურთიერთდასწრებები სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის, სკოლის დირექციის კოორდინაციით პედაგოგთა

ჯგუფების მიერ სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება სკოლის საჭიროების კვლევა. . სკოლა გეგმავს აღნიშნული საქმიანობის დახვეწას და განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები, რომლის თანმიმდევრულ განხორციელებას გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც შინაგანაწესთან ერთად ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას. სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია, დასაქმებულების შრომის პირობების დაცვის წესები, სკოლის შინაგანაწესის მე-4 მუხლში განსაზღვრულია დასაქმებულის დისკრიმინაციის აკრძალვა. თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, მშობელთა ინფორმირებულობა განისაზღვრება სადამრიგებლო პროგრამით რომელის წარმომადგენს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება . სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დისციპლინური კომიტეტის შექმნის ოქმი;

- მშობლისთვის შინაგანაწესის გაცნობის ოქმი;
- სკოლის გასაჩივრების მექანიზმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების მასალები;
- წრეობრივი მუშაობის დოკუმენტები;
- კლუბები მუშაობის დებულებები და მასალები;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება
- პერსონალური მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება; პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი და პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო პროცესებთან დაკავშირებით სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ასევე უკუკავშირის მიღებას ახდენს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, გამოიყენება დასწრებითი ფორმატი, სკოლის მთლიანი პერსონალის შეკრება და ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირის მიღება, ანალოგიურად მშობლების შემთხვევაში. ასევე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების საინფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელში განთავსება, ე.წ. ჩატებსა და მესენჯერ ჯგუფებში გაზიარება. ასევე სკოლის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულში, პედაგოგიურ საბჭოში, სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში, მოსწავლეთა თვითმმართველობაში და ა.შ. შესაბამისი წესით ჩართულია მოსწავლეთა და მშობლების წარმომადგენლები, მასწავლებლები. აღნიშნული დასტურდება დისციპლინური კომიტეტის და სამეურვეო საბჭოს ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- სკოლის ვებგვერდი
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის ბრძანებით დანიშნული ყავს უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აღჭურვილია მეტალოდეტექტორით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია აგრეთვე: ფიზიკური უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლაში საგანგებო სიტუაციებში, პრევენციისა და ქცევის კულტურის ჩამოყალიბების მიზნით პერიოდულად ტარდება საგანგებო სიტუაციების სიმულირება, კერძოდ პრევენციის მიზნით ჩატარდა სიმულაციური სწავლება ექსტრემალურ სიტუაციაში მუნიციპალიტეტის სახანძრო სამსახურთან და ადგილობრივ წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან ერთად. შენობაში ნაწილობრივ დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ შენობაში არ არის დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა. დერეფნებში არის ცეცხლმაქრები დამუხტულ მდგომარეობაში, ყველა სართულზე 2 , იქვეა მითითებული 112-ის ტელეფონის ნომერი . ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლას აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი.

რეკომენდაცია:

- სკოლამ 01.04.2026-მდე მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა

2. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი ექიმი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით არის გამოყოფილი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას არ ჰყავს მანდატური. შესაბამისად სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დარაჯი და სხვა პერსონალი. კერძოდ, სკოლის ორივე სართული კონტროლდება როგორც დირექტორის მოადგილის, ისე მორიგეებისა და დამრიგებლების მიერ, რომლებიც მორიგეობის განრიგის მიხედვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლაში არ არის მოწყობილი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ „112“-ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

სკოლას არ აქვს დამონტაჟებული ვიდეო სათვალთვალო კამერები. (საქ. განათლების მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის 06/ნ ბრძანების 41-ე მუხლის მოთხოვნა)

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია: სკოლამ 26.07.2025-მდე უზრუნველყოს ვიდეო სათვალთვალო კამერების დამონტაჟება.

4. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლები მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენის მიზნით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში ატარებენ სხვადასხვა აქტივობებს (მინი ლექცია, საუბრები სხვადასხვა საკითხებზე, დისკუსია, პრეზენტაცია და ა.შ.). სადამრიგებლო საათის დროს დამრიგებელი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას ისაუბრონ სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე: როგორიც არის ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახური ძალადობა, ნაადრევი ქორწინება, ბულინგი-კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვთა ფსიქიკაზე. ასევე სისტემატიურად ტარდება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა და განხილვა ყველა მოსწავლისათვის;

საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ჩატარდა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთანაც. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში; დამრიგებელი მოსწავლეებთან ატარებს ინდივიდუალურ შეხვედრის საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს აძლევს რჩევას/უკუკავშირს. დამრიგებლები გეგმავენ ერთობლივი მუშაობას სხვა საგნების მასწავლებლებთან მოსწავლეთა საჭიროებების გამოსავლენად. თითოეული მოსწავლის ყოველმხრივი შესწავლა: მათი ინტერესების, მოთხოვნილებების და მიდრეკილებების გამოვლენა, ინფორმაციის შეგროვება და ჩანაწერების გაკეთება. ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს მიზნით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების საკითხებზე სკოლას მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს სპეცმასწავლებელი, სკოლის ექიმი შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებით და საინფორმაციო მხარდაჭერით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

54. სკოლის ექიმი თვალყურს ადევნებს და უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლას ჰყავს ორი დამლაგებელი, სოციალური დასაქმების ფარგლებში დაინიშნა დამატებით კიდევ 1 დამლაგებელი და 2 მეუბოვე. პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. საჭირო რესურსით აღჭურვას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლა შეუფერხებლად მარაგდება ცენტრალური წყლით, მაგრამ შეწყვეტის შემთხვევაში სკოლას აქვს სათადარიგო ავზი. ასევე შიდა საპირფარეშოებთან ერთად სკოლას აქვს გარე საპირფარეშოც, სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია, როგორც სკოლის შიდა, ასევე - გარე პერიმეტრზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ყავს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის მუშაობის პრინციპია: განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, რომლის პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. თითოეული მასწავლებელი და დამრიგებელი იცავს მოსწავლეთა პირადი მონაცემების კონფიდენციალობას. კვლევის პროცესებში, სასკოლო პროექტებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა შესახებ, ინფორმაციის, ფოტო სურათების გასაჯაროებისათვის ითხოვს მშობელთა თანხმობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; მასწავლებლები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები students.gov.ge-ის ინდივიდუალური მომხმარებელითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. სკოლის კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამები. პირადი მონაცემები განთავსებულია eSchool -ის ბაზაში; საქმის წარმოებისთვის გამოიყენება სკოლის იმეილი Skhvitori@mes.gov.ge და Eflow. სკოლა მონაცემების შეგროვებას და დაცვას ახდენს“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული შესაბამისობით, რაც გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში და შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8.....

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მშობელთა თანხმობის ფურცლები;
- სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება;
- ბრძანება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დამტკიცებისა და მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- ბრძანება-საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება, სადებიზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- ექიმის დანიშვნის შესახებ ბრძანება/ კონკურსის მასალები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N1 და N2;
- საევაკუაციო გეგმა;
- სკოლის შიდა რეფერალი და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესის დამტკიცების და ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;

- ფიზიკური უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების ბრძანება;
- მიმართვა სამხარაულის ექსპერტიზას;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლას ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორში გადაცემული აქვს ფართი, 7803 კვ.მ მასზე განთავსებული 2 სართულიანი შენობა ნაგებობით, საერთო სასარგებლო ფართით: 1490 კვ.მ. შენობის პირველ სართულზე განლაგებულია: ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, დარაჯის ოთახი, ქიმიის კაბინეტი, ფიზიკის კაბინეტი, სასადილო ოთახი, ხუთი საკლასო ოთახი, ერთი საკლასო ოთახი გათვალისწინებულია სასკოლო მზაობის კლასისათვის, სველი წერტილები მოსწავლეთათვის (ვაჟები, გოგნები, სველი წერტილი ნული კლასის მოსწავლეებისათვის). მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, სკოლის კანცელარია, სამასწავლებლო, დამხმარე ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ექვსი საკლასო ოთახი, სველი წერტილები (მასწავლებლებისათვის-მამაკაცები, ქალები) ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფით და საჭირო ინვენტარით. სკოლის შენობა გათვლილია 250 მოსწავლეზე. სკოლაში არის 24 კომპიუტერი, აქედან 7 არის ამორტიზებული და 17 მუშა მდგომარეობაში. პრინტერი 5 ცალი, 3 მუშა მდგომარეობაში. 3 პროექტორი სამივე მუშა მდგომარეობაში. ფუნქციონირებს გარე სპორტული მოედანი, გარე ტუალეტი გოგონებისა და ბიჭებისათვის. სკოლას აქვს ელექტრომომარაგების კომპლექსური სატრანსფორმატორო ქვესადგური, საქვაზე ცენტრალური გათბობისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს კარგად მოვლილი და გაფორმებული ეზო, ყვავილნარი. მოხატული და გემოვნებით გაფორმებული სკოლის დერეფნები და საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი ემსახურება ესთეტიკურ აღზრდას. სპორტული მოედნები, უზარმაზარი თანამდროვე სტანდარტების მქონე სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი ემსახურება მოსწავლეების ფიზიკურ სიჯანსაღეს, თანამშრომლობითი და გუნდური უნარების განვითარებას. სკოლა ხშირად ატარებს კურიკულუმის მიღმა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობებს. მოსწავლეებს აქვთ სივრცეები თანამშრომლობისთვის და საკუთარი იდეების რეალიზაციისთვის. მოსწავლეებს საშუალება აქვთ გამოიყენონ აღნიშნული სივრცეები არა საგაკვეთილო პერიოდშიც ადმინისტრაციასთან წინასწარ შეთანხმებით (თუ ამის საჭიროება არსებობს, მაგ: გარე სპორტული მოედნებით სარგებლობა შესაძლებელია შეთანხმების გარეშე).

ზოგადად დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. ჩვენს სკოლას გააჩნია კარგი მატერიალური ბაზა, რომელიც

თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ყველას აქვს საშუალება შეძლონ ერთმანეთზე ზრუნვა, ჯგუფური და გუნდური მუშაობა, განივიტარონ შემოქმედებითი უნარები. ამაში ხელს უწყობს:

- სააქტო დარბაზი სასკოლო საზოგადოების ერთობლივი აქტივობებისთვის, კონცერტებისა და თეატრალური წარმოდგენებისთვის;
- ბიბლიოთეკა , სადაც სათანადო ადგილზეა განთავსებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- სკოლა აღჭურვილია ვაი ფაის სისტემით, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის მთლიან სივრცეში;
- გარემონტებული და სათანადო ავეჯით აღჭურვილი საკლასო ოთახები;
- კეთილმოწყობილია სამასწავლებლო და დირექცია ადმინისტრაციის ოთახები;
- გარემონტებული სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი რესურს ოთახი;
- დამთავრების სტადიაშია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ლიფტის მონტაჟი;
- სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო. ზემოთ ჩამოთვლილ სივრცეებში ტარდება სხვადასხვა სასწავლო და არაფორმალური აქტივობები , ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაშები, სპორტული აქტივობები და სხვა. ეს ყველაფერი ქმნის სასკოლო ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოს და სასიამოვნოს. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სხვიტორის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია სკოლის მეორე სართულზე. მისი ფართობი შეადგენს-- 48კვ.მ . არის მყუდრო , ნათელი , კეთილმოწყობილი , საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო ოთახი . ის არის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი. ბიბლიოთეკა სკოლაში ჩატარებული აქტივობების ერთ-ერთი მხარდამჭერი და ინიციატორია. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობაც. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს- 39887 . (მათ შორის იგულისმება სასკოლო სახელმძღვანელოებიც) , რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ფონდი დაკომპლექტებულია სასკოლო ბიბლიოთეკისათვის გათვალისწინებული სასწავლო და დამხმარე ლიტერატურით . (ლექსიკონები , ენციკლოპედიები, მხატვრული ლიტერატურა . მათ შორის ინგლისური და რუსულენოვანი ლიტერატურაც) , რომლებიც დამუშავებულია კლასიფიკაციის მიხედვით , გატარებულია ჯამობრივი აღრიცხვის საინვენტარიზაციო წიგნში . ფონდი ბიბლიოთეკარის მიერ დაწყობილია ანბანური სისტემით , კლასების მიხედვით გახსნილია მკითხველთა ფორმულარები . მუშაობა მიმდინარეობს ბიბლიოთეკარის წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად. შექმნილია საბიბლიოთეკო აქტივი , სადაც გაწევრიანებულნი არიან როგორც დაწყებითი , ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები . ისინი ბიბლიოთეკართან ერთად გეგმავენ ჩასატარებელ აქტივობებს და

ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული : ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები: როგორ წავიკითხოთ წიგნი , წიგნის მოვლის წესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, რაც გულისხმობს სკოლებში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელების ხელშეწყობას. ეს ნიშნავს მოწესრიგებულ ფიზიკურ გარემოს, სადაც ინფრასტრუქტურა ისეა განთავსებული, რომ ყველა საჭიროების მქონე მოსწავლეს ქონდეს სწავლის, გადაადგილების და აუცილებელი სერვისის მიღების საშუალება; სკოლაში არის ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი სივრცეები. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია აუცილებელი სერვისის მიღების სეთი საშუალებები როგორიცაა: სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირებული კეთილმოწყობილი რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, ექიმის ოთახი, სასადილო ოთახი, ნული კლასისათვის განკუთვნილი ოთახი თავისი სველი წერტილით.

მოწესრიგებულია სკოლის ეზო, სპორტული მოედანი და გაზონი. სკოლაში დამონტაჟებულია გარე ლიფტი. შიდა და გარე სივრცე, სველი წერტილები, ხელმისაწვდომი საპირფარეშოები, ავეჯი, ინვენტარი საშუალებას ქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებიც სრულფასოვნად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა აცნობიერებს, რომ სასკოლო საზოგადოება იმ საზოგადოებისა და სკოლის თემის ნაწილია, სადაც სკოლა წარმართავს თავის საქმიანობას. შესაბამისად, სწავლის პროცესის წარმართვაზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაში და სკოლის თემში არსებული პრობლემები, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-ემოციური სივრცის მდგრადობას. სკოლაში შექმნილია სოციო-კულტურული სივრცე, სადაც ყველა წევრი თავს გრძნობს ამ სივრცის ნაწილად. სპორტულ დარბაზში, ასევე გარე მოედანზე მუნიციპალიტეტის და ქვეყნის მასშტაბით ტარდება ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სააქტო დარბაზში იმართება არაფორმალური სწავლის სხვადასხვა სახეები -შეხვედრები თემის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა პროფესიის (სამართალდამცავი, ექიმი, სამხედრო პირები, მუზეუმების, წითელი ჯვრის საჩხერის ფილიალის წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებთან) ადამიანებთან. იმართება ერთობლივი ღონისძიებები მეზობელი სკოლის მოსწავლეებთან ერთად. (საირხის სასულიერო გიმნაზია, საჩხერის მუსიკალური სკოლა) .სკოლას ტრადიციად ექცა „მადლიერების დღის“ აღნიშვნა, რომლის ფარგლებშიც სკოლაში წლების განმავლობაში მოწვეულ იქნენ სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგები, თემში გამორჩეული ადამიანები და სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები. სკოლის სამკითხველო ოთახი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლის პირველი სართულის ფოიეში სისტემატიურად ეწყობა მოსწავლეთა ნახატებისა და მათი ხელით დამზადებული ნამუშევრების გამოფენა, რომლის დათვალიერება ხელმისაწვდომია სასკოლო თემის ყველა

წევრისთვის. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სასკოლო თემში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. სკოლის ღია სპორტულ მოედანზე ტარდება სასკოლო ჩემპიონატები სკოლის მოსწავლეებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში, რომელსაც ესწრებიან თემის წარმომადგენლები. სკოლა ხშირად მასპინძლობს არამხოლოდ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სკოლებს და მათ გუნდებს, ასევე უცხოელ სტუმრებს. სკოლამ უმასპინძლა უკრაინიდან ჩამოსულ მოსწავლეებს. გაიმართა ამხანაგური მატჩი, რომელსაც თემის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ტარდება გაკვეთილები მშობელთა ჩართულობით. (მშობლები მოსწავლეებთან ერთად ჩართულნი არიან საგაკვეთილო აქტივობებში, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს.)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სქემა; ბრძანება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;
- ინფრასტრუქტურის სურათები;
- წიგნების მიღება ჩაბარების აქტები;
- პროექტის ფარგლებში მიღებული წიგნების მიღება- ჩაბარების აქტი;
- წიგნების რაოდენობის ელექტრონული ვესია;
- ბიბლიოთეკასთან ჩატარებული ღონისძიების ამსახველი მასალები;
- უკრაინელების სტუმრობა, სპორტული აქტივობები;
- ინტეგრირებული გაკვეთილები მშობლების ჩართულობით;
- ზეპირი ინტერვიუ
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინტერნეტიზაცია ხელს უწყობს: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში, რითაც სასწავლო პროცესი უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და დინამიური ხდება; ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, საშუალებას აძლევს ინფორმაციის პასიური მიმღებნი კი არ იყვნენ, არამედ თავად მოახდინონ სასწავლო რესურსების მოძიება, მოდიფიცირება, შექმნა და სოციალურ ქსელში განთავსება(პრეზენტაციები, სოციალური ვიდეო რგოლები.), რაც სწავლა-სწავლების პროცესს უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის. სკოლას ყავს კვალიფიციური კადრი, რომელიც მუდმივ მხარდაჭერას უწევს სკოლის პერსონალს ციფრული ტექნოლოგიების მიზნობრივ გამოყენებაში. გარდა ამისა სკოლაში განხორციელდა კვლევა-რამდენად უწყობს ხელს დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. მოსწავლეებს და მასწავლებლებს უვითარებს ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და შეფასების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს; პედაგოგებს შორის ინფორმაციისა და მასალების გაცვლას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ სკოლებს შორის კავშირების დამყარებას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლაში არსებობს კომპიუტერული ინვენტარით აღჭურვილი კაბინეტი. კომპიუტერულ კაბინეტში განთავსებულია 9 ლეპტოპი (გადმოცემული ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში), 4 პერსონალური კომპიუტერი, 1 პროექტორი ყველა კომპიუტერი დატვირთულია ინტერნეტის ქსელით. სკოლას აქვს 2 პროექტორი (გადმოცემული ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში) ასევე 4 პერსონალური კომპიუტერი. პრინტერი 2 ცალი, რომელებიც განთავსებულია

სამასწავლებლოში და დირექტორის კაბინეტში, 1 პრინტერ-კომბაინი, რომელიც განთავსებულია კანცელარიაში. დაწყებითი კლასის დამრიგებლებს გადმოცემული აქვთ 4 ლეპტოპი, როლებიც უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებასა და მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის კომუნიკაციის გამარტივებას. სკოლის პირველ კლასელებს ყოველწლიურად ურიგდებათ „ბუკები“, სადაც მიზნობრივად ჩატვირთულია ის მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნებასა და გამარტივებას. მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ასევე თითოეული კლასის დამრიგებელი მუდმივად აწვდის ინფორმაციას (Messenger-ით, teams-ით) დახურული და საჯარო ჯგუფების საშუალებით. მშობელს საშუალება აქვს დაუკავშირდეს სკოლას, როგორც მეილის, ასევე Facebook გვერდის საშუალებით. სკოლის საზოგადოებას აქვს თავისუფალი წვდომა teams-ის პლატფორმაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში გვაქვს კომპიუტერული კაბინეტი, კომპიუტერების კაბინეტში მოწყობილია სივრცე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. სკოლაში გვაქვს უსაფრთხო უსადენო ინტერნეტი რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის სკოლამ მასწავლებლებისათვის გამოყოფ 7 ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მიღებული ლეპტოპები თითოეული კათედრისათვის. კათედრის წევრებს სამუშაო საათებში შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერების კაბინეტში მათთვის მოწყობილი სივრცით. ასევე უქმე დღეებში, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებით შეუძლიათ მათი გამოყენება. სკოლამ მოსწავლეებისათვის ცალკე გამოყოფ კომპიუტერულ კაბინეტში 2 ლეპტოპი და 4 პერსონალური კომპიუტერები. სამუშაო სივრცეში დაამონტაჟა დამატებითი კვების წყაროები (შტეფსელები) მოსწავლეებს მათთვის განკუთვნილი საზიარო სამუშაო სივრცის გამოიყენება შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესის შემდეგ ორმაზათიდან პარასკევის ჩათვლით 17.00 საათამდე. ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელი იქნება სივრცის შაბათს და კვირასაც გამოყენება; კომპიუტერულ კაბინეტში მუშაობა რეგულირდება წინასწარ შემუშავებული ქცევის წესების მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- კომპიუტერების მიღება ჩაბარების აქტები;
- კვლევა-დამატებითი ელ. რესურსების გამოყენებაზე;
- ზეპირი ინტერვიუ

- ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა ეყრდნობა საქმისწარმოების ზოგად ნორმატიულ აქტებს, მაგალითად საქართველოს პრეზიდენტის 1993 წლის ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმის წარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების“ შესახებ. შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების საკუთარი წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იყენებს მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავრობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება eflow, eschool, rs.ge, <http://procurement.gov.ge/>, და ა.შ. Office 365, MS Word, MS Excel. MS Power Point, და Gmail-ელექტრონული ფოსტა, Facebooc - ვებგვერდს და ა.შ. eflow-ის საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულფასოვანი პროფილი მართვის ელექტრონულ სისტემაში, შეტანილი აქვს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლის მონაცემები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ადგილზე სისტემის ვიზუალურად დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ყველა ანგარიშს და ინფორმაციას დროულად აწვდიან რესურსცენტრს, დროულად აწვდიან ფინანსურ ანგარიშებს. სკოლას გამოქვეყნებული აქვს ანგარიში მაცნეს გვერდზე საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, დროულად ბარდება დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ფოსტას Skhvituri@mes.gov.ge teams-ის პლათფორმა, Facebooc-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლის Facebooc-ის გვერდი, რომელზედაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია...), ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის ფეი ბუქ გვერდი. სწავლა-სწავლების პროცესის ამსახველი მასალა ქვეყნდება სკოლის გვერდზე. სკოლაში დამონტაჟდა WI-FI სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის ნებისმიერ ტერიტორიაზე, რამაც ხელი შეუწყო საგაკვეთილო პროცესის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართვას, მასწავლებლები და მოსწავლეები ქმნიან ელექტრონულ რესურსებს, რომლებსაც აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლა ითვალისწინებს რა თავის პასუხისმგებლობას და ავტორიტეტს სასკოლო თუ სამოქალაქო საზოგადოების წინაშე, ავრცელებს მხოლოდ სანდო და უტყუარ ინფორმაციას, რომელზედაც პასუხისმგებელი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა გეგმავს ციფრული სახით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სხვიტორის სკოლის ფეის ბუქ გვერდი, სადაც განვითავსებთ სასკოლო ღონისძიებების ამსახველ მასალებს და პარალელურად ვიღებთ, როგორც სასკოლო თემის წარმომადგენელთა, ასევე სასკოლო საზოგადოების უკუკავშირებს. (მაგ. მეილით მოწერილი კითხვების თემების მიხედვით დალაგებას და ვებგვერდზე პასუხების განთავსებას); სკოლას აქვს ვებგვერდი. ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის სხვადასხვა ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1072>, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ატვირთული მასალები არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

5. ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სადაც აღწერილია სხვიტორის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა, სადაც წარმოდგენილია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები; სტრატეგიული გეგმა, სადაც წარმოდგენილია გრძელვადიანი 2023- 2030 წლების სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი დოკუმენტები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, ატვირთულია 2024 წლის ბიუჯეტი; საკონტაქტო ინფორმაცია და ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ გვერდი: <https://skolebi.emis.ge/schools/1072>
- ვებ გვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი ფინანსური რესურსი შემოიფარგლება მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსებით, სკოლას არ აქვს კანონმდებლობით ნებადართული დამატებითი ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. სკოლას სახელფასო და კომუნალური გადასახადების შემდგომ რჩება მცირე ბიუჯეტური თანხები. ადგილზე ზეპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს მცირე ნაშთს, და ამასთან აქვს მზაობა მოიზიდოს დამატებითი შემოსავლები, კერძოდ გასცეს ფართები სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირებისათვის კანონმდებლობის დაცვის წესით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, ქმნის ყოველწლიურ ბიუჯეტს, აკეთებს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს. ავსებს ბალანსის ფორმებს და წარუდგენს მაკონტროლებელ ორგანოს, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2024 წლის ბიუჯეტი;

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- წლიური ბალანსი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- წლიური ფინანსური ანგარიშის დოკუმენტი;
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება შინაგანაწესის დოკუმენტში, კურიკულუმში, სადამრიგებლო პროგრამებსა და სკოლის წესდებაში გაწერილი რეგულაციების მიხედვით; წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლა ვალდებულია იღებს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვას. ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებას,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაცია მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის შესახებ გამჭვირვალეა და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, გაზიარების საშუალებებად სკოლა კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებსა და შესაბამისი ტექსტების საინფორმაციო დაფებზე თვალსაჩინოდ გამოკვრას მიიჩნევს. გარდა ამისა, სკოლის კლასების დამრიგებლები და მასწავლებლები მზადყოფნას გამოთქვამენ დაინტერესებულ მხარეებს ყოველთვის მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც წარმოდგენილია: ხელშეკრულების საგანი; ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, მხარეთა უფლება- მოვალეობები; სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები; განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი; დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა; მოცემული დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები, ცვლილებების შეტანის უფლებით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;

მშობელთა გაფორმებული ხელშეკრულება;

დამრიგებლის ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე;

მშობელთან ურთიერთობის დებულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, დროულად ხდება მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- 3.. სკოლის შინაგანაწესი არის ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომისათვის განკუთვნილი სახდელები და წახალისების ფორმები. შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის უფლებები და პასუხისმგებლობები. მოსწავლეებთან მიმართებაში სკოლის შიდა პოლიტიკის რეგულაციები ამომწურავად არის მოცემული; მიდგომა არის არადისკრიმინაციული, დაცულია თანასწორობის პრინციპები და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- 4... სკოლას აქვს საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგების ეფექტიანი მექანიზმი. სკოლის დირექციის, მასწავლებლების, დამრიგებლების მიერ სისტემატიურად ხდება საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლას აქვს თავისი ვებგვერდი და საკუთარი Facebook გვერდი , სადაც მუდმივად შუქდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;

მშობელთა თანხმობის ფორმა;

მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების ბრძანება;

მშობელთა კრებების ოქმები ;

სოციალური ქსელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს რომ მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლის, სკოლაში შესვლის/გადასვლის პროცესი იყოს მაქსიმალურად უმტკივნეულო და მომზადებულად წარიმართოს; სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციას ხელი უნდა შეუწყონ კლასის დამრიგებლებმა და მასწავლებლებმა. ამისათვის სკოლის დამრიგებლები და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შეხვედრებს მშობლებთან. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მერხებითა და სკამებით, პირველ სართულზეა განთავსებული პირველადი საჭიროების სივრცეები: ექიმის კაბინეტი, სპორტ დარბაზი, რესურს ოთახი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

